«ღვთივ სულიერსა ამას წერილსა ეწოდების
(სამოთხის ყვავილი), მით რომელ წიგნსა მისგან მა-
მათსა. რომელ არს სამოთხე. რჩეით აღმოწერილ
არს და დატკობილ საღმრთოთა სიტყვებითა. და
განათლებულ სარგებელად სულთა ღვთის მოყვარე-
თა. ვითარ იგი კაცი ბრძენი შერაჯულნ მტილს წალ-
კატსა. და მზარჩენ ყვავილთა შეწიერთა და შეკ-

რანე ერთად ყთილ-სუნენლთა საყრდენად მოსურ-
ნეთა: და ვითარცა ნერგი შეწიერი ვარჯიანი სა-
მოთხისა შორის. მზის შარავლედის მიღენითა გამო-
იღებენ ჰაეროვანსა ყვავილსა ფურცელსა და ნაყოფ-
სა: (ეს ციფრები ასე აწერია) ვერეთვე სიმართლისა
მზისა ბრწყინვალეობასა: გულსა შინა მოფენითა. ამის
წიგნისა სურვილით მკითხველნი გონებით გამოიღე-
ბენ ყვავილთა სათნოებისათა. და რომელნი სხვასაცა
ახარებენ სიტყვით წარმოაჩენენ ფურცელსა მადლთა
შეძინებისათა. ხოლო საქმით მასრულეებლნი შეს-
წირენ ღმერთსა ნაყოფსა სულისასა ცხოვრებად სა-
უყუნოდ:

რომელსა ჰქონან თვისასა შორის თავნი მსგავ-
სად ათთა მცენებთა მოსენურთა. პირი განათლებუ-
ლისა: და თვითოეულსა თავსა შორის ათ თხრობაჲ.
მებრ ათთა ნაყოფთა სულისეთა პაელებთა სამცმდე
აღწეულისა: და ენათგან ათგზის ათი შეკრებების
ასად. მათ მიეწკაეებისსა....

(მეორე წარწერა).

«პატოხანი წიგნი ესე აღიწერა მრავალ მთის
ულაბნოსა გარეჯისასა და გლახაკი მწერალი ამისი
შენდობასა ვითხოვ რომელ დედანი ფრიად ძველი
იყო და შრომითა მრავლითა გარმოიწერა. გარნა
უმეტესისა გულს მოადგინებთ შემოწმებულნი: ორ
გზის და განმართლებულ არს და ემგველი სიმართლის
ქმონებელი და აწ რომელთა გენებოთ გადაწერა ამისი
სიფრთხილით გადასწერეთ და სარწმუნო იყვენით და
მადლი ღვთისა შემწე გეყოსთ საცხოვნებლად სუ-
ლისასა: — წელსა **ქიქ** სეკემბერს **ჴ**ნ:

ყველა მოთხოვანი, თითქმის, ერთგვარად
არის დაწყობილი. მომაყეს მინუშად ერთი ამ მოთ-
ხოვანთაგანი:

«თხოვა სულიერი ძე სამართლისათვის ჰემ-
მართისა:

«ღვთივ სულიერსა შეიღონო ეკლესიისანო!
უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს. ნუ სჯით თვალთ-
ლებით არამედ სამართალი სასჯელი სჯეთ: საყვა-



რენო სამართალი ჭეშმარიტი ჰმენის ჩენ-
და ქრისტიანთა. რათა ამითცა სათნობითა მი-
ვემსებაუნეთ ქრისტესა მიუფესა ჩენსა. რომელი იგი
მართლმსაჯულ არს და არაგის თვალაღებს პირსა კა-
ციასსა და ჩენცა არა რომელიმე სახეთა გარდააქ-
ცვედეთ სამართალსა. არამედ ჭეშმარიტებით ესჯიდეთ
ლეთის მოშიშებით. და მართლ-მსაჯულებით:

რამეთუ წმიდასა მთავარ ეპისკოპოსსა ეპიფანესს,
ჰყვანდა კრებულად ოთხობოცი მონაზონი და შორის
მათსა იყო ეინმე პატრიოსანი და კეთილ განიერი
სახელით საბიანე, რომელიცა ესე დაადგინა სჯალ
საეკლესიოთა საქმეთათვის: დღესა ერთსა მოვიდნენ
ოარნი მომჩივარნი: ერთი მდიდარი იყო: და მეორე
გლახაკი. და სამართალი მას შესწევდა. გარნა საბიანე
გლახაკთ წყალობისათვის ინება გლახაკისა მის
განმართლება და მცირედ სამართალი გარდააკლავს:
ხოლო წმიდა ეპიფანე სდგა ადგილსა ფარულსა და
ისმენდა ბჭობას მათსა. ესე რა იხილა. მაშინ შევიდა
ცხადად და თვით განბჭო საქმე იგი. მდიდარი განა-
მართლა, ვინადგან მართლობდა და გლახაკსა მას
მოწყალემა მისცა საიღუმლოდ და განუტყევა: მეგრე
საბიანეს მშობლა სიყვარულით და რქვა: შეილო ჩემო
სიყვარელო! საღმრთო წერილი იტყვის არა შეიწყა-
ლო გლახაკი სასჯელსა შინა: ესე იგი არს ვითარმედ
დალაკა თუ გლახაკი იყოს უსამართლო რომელთა
და მოწყალემა ბრძანებულ არს ჩვენდა, ნუ მისდრი-
კებინ სამართლისაგან, არამედ სამართალი ჭეშმარიტი
ჰმენის და გლახაკთა მამართ მოწყალემა საიდუმ-
ლოდ: ესრედ განსწყალა ღირსი იგი საბიანე და მი-
ერიდგან მართლად სჯიდა სამართალსა და აღიღებდა
ღმერთსა: —

იხილეთ, პატრიოსანი მსმენენლო, უკეთუ გლა-
ხაკთა წყალობისათვის არა ჯერ არს სამართლისა
გარდაქცევა. გლახაკთა ვიტყვი. რომელნი ქრისტეს
ძმად წოდებულ არიან. რომელთადა წყალობაცა
ფრიადი თანა გვაძს და უკეთუ ეინნე მდიდართა კაც-
თა სათნო ყოფისათვის: ანუ ქრთამისა. გარნა რომელითავე
საქმითა თვალ ღებით. სამართალი გარ-
დააკციოს. არა უწყით თუ ვითარი სასჯელი მიაწიოს
მის ზედ. რაგამს მართლმსაჯული იქნა სჯიდეს ყო-
ველთავე და მიაგებდეს კაცად კაცსა საქმეთა სიღ-
ყვითა მათთა ებრ:

ამისათვის გლოცათ და გვედრებით ქრისტეს
მოყვარენო სამართალსა ჭეშმარიტსა ესჯიდეთ და
უკეთუ ვისიმე მომადლება და სიყვარული გვენებოს.
გინა გლახაკთ წყალობადა ნუ სამართლისა გადაქცე-
ვით მოვიმადლებთ დასასჯელად სულთსა ჩენთა. არა-
მედ სხვათა სახითა აღვასრულოთ პატივისცემა მათი
და სიყვარული კეთილად და ღებთე შენერებად და
სამართალი ჭეშმარიტი დაემტკიცეთ უცლომელად
ვითარცა წერილ არს. უკეთუ იქმოდეთ სიმართლესა
ჭეშმარიტებასაცა ზახაზედით ძენო კაცთაო:

ჰე გვედრებით სიყვარენო ძმანო ეინათგან
სამართალი ჭეშმარიტი ჯერ არს. მაშა (ამაზედაცა)
ამაზედაცა ჭეშმარიტი სამართალი ჰმენის ჩენდა.
რომელ სული ჩენი გლახაკ და უწყალო დაგვი-
ტევიების და ხორცი შეგებით და პატივით შეგვიმიყეს,
რომლისათვის უფალი ბრძანებს. ანუ არა რასათვის
თავით თვისით არა სჯი სამართალსა. ესაჯოთ საყ-
ვარენო თავსა შორის ჩენსა ჭეშმარიტ სამართა-
ლი და ვითარცა სული უფროს არს ხორცი არა ვე-
რთვე უმთავრესიცა ნაწილი სულისა ჰმენის მიცე-
მად. ვინათგან ყოველივე სულიერი საუკუნო არს
და ხორციელი საწყობით: რამეთუ ყოველივე ხორცი
თავა არს და ვითარცა ყვავილი ველისა: სულისა ნა-
წილ არს მოწყალემა ხოლო ხორცთა შემკობა: სუ-
ლისა ცხოვრება არს მარხვა. ხოლო ხორცთა ჰმანა:
სულისა სარგებელ არს მოღვაწემა. ხოლო ხორცთა
განსვენება: სულისა სათნო არს ღოცვა. ხოლო
ხორცთა ძილი: არამედ ვანყუთ საცხოვრებელი ჩე-
ნი ძმანო მიესცეთ ღეთისა ღმერთს. ღოცვა და სათ-
ნობა სულსა: ხოლო კვისრისა კვისარს. ძილი და
ჰმან უკოდველი ხორცთა. და სიპართლით კეთილად
წარვლოთ წუთი ჟამისა ესე ცხოვრება. რათა საუ-
კუნესა ცხოვრებასა მიეწიენეთ და ვითარცა სულ
არს ღმერთი. ეგრეთვე სულთა და ჭეშმარიტებითა
თავყენისკეთ მამასა და მართლმსაჯულსა ძესა და
სულსა ყოველად წმიდასა რომელი სხვეფეს და იღ-
დების უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჩემის აზრით საქორაა ყურადღება მიაქციონ
ამ წიგნს ვისგანაც ჯერ არს.

ამბაკო ჯავახია

საინტორმო მასალა.

ბ ვ ჯ ბ ე ბ ა.

(გაგრძელება *)

ქ: სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოისა რომელი იგი მხოლო არს ერთი არსება ერთი ლთაება ერთი ძალი ერთი ნება ერთი მომქმედება ერთი დასაბამი ერთი ხელმწიფება ერთი უფლება ერთი მეუფეება სამთა სრულთა გვათა შინა ცნობილი და მსხურბელი (?) არა რომელსა საზომისაგან ცნობილი არამედ თვისთა არამედ ვითარცა ოდენ ნებათა განზომილი ყოველთა მსყრობელი და მფლობელი უბრწევლად ყოველთა არსებთა ზედან შამავალი ზესთა ღმერთი და ზესთა სახიერი პირველი მთავრება და წესთა განმაჩინებელი თვით ნათელი თვით სახიერება პირველი და უქანაქნელი ღმერთი ძრიელი და ხელმწიფე მამა მესამეთა მათა საუკუნეთა რომელი ბრძანებათა დაიბადნეს ყოველივე იძრვისი (ქ) და მზობიტყვე და უსიტყვენი ამა ერთისა ზეცისა ძალითა მეუფისა დიდისა ძიარ უსხენებელის და გარე შამოუწერელის ლეთისა მამისა და ლეთისა ძისა ლეთისა სულისა წმინდისა სამებით განუყოველის ორ ბუნებით სრულის ერთ არსებათ დიდებულის ლეთის თავებობითა მიადობითა და შუა მდგომლობითა უმაღლესისა ცათა უწმინდესისა ქერობინთა (sic) პირველ შობასა ქალწულისად შობასა ქალწულისა და კევალად შობასავე ქალწულისა ყოვლად წმინდისა მღვთის მშობლისა მარადის ქალწულისა მარამისა თავებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა რომელსა ზედან უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მისცა თავი სიკვდილთა განაპურა მკლავი თვისი განილა გვერდი მისი გარდამოსთხია სისხლი და წყალი ძელსა ზედან კერპთა დათურგენელი ეშმაკთა განმატებელის (sic) მცხოველს მყოფლისა პატრონისა ჯგერისა ძელი ჭეშმარიტის თავებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდისა ზეცის ძალითა ერის მთავარისათა და მუდამ ლეთის წინაშე მდგომარენის და ლეთის ბაძანებას წამდაწუმ მარიგებელის მთავარი ანგლოზის მიქაელ და გაბრიელის თავებობითა და

შუამდგომლობითა სხვათა წმინდათა ანგლოზთა უფლებათა და ხელმწიფებათა ყოველთა უბრწევლთა ზეცა ძალითა მათისა თავებობითა და შუამდგომლობითა წმინდისა დიდებულისა ყოველთა დედათა ნაშობთა უმეტესის წინააწარმეტყველისა და წინამორბედი ანათლის მცემლისა იოვანეს თავებობით და შუა მდგომლობითა პეტრე კლდე სიმტიციის და პავლე პარ ქრისტესისა თავებობითა და შუამდგომლობითა რომელთა უბრძანა უფალმან ჩვენმან კრულ ერთ კრულ იყოს და ხსნილეთა ხსნილიყოს იმ წმინდათა ათორმეტის მოციქულის თავებობითა მინდობითა და შუა მდგომლობითა წმინდათა ყოველთა სჯულთა დამამტიციებელისა წმინდისა ნიკოლოზბისონ ქალაქისა ლუკის (sic) შემამკობელისა წმინდისა კაბადუკელისა მღვდელთ მოძღვრის ბასილ და ხმა ტუბილად მხმობარსა და ოქროსაებერ პიო ბრწყინვალეს იოხანე ოქრო პირის და რომელთა იშვებს ერი და განცხრების ეკლესია და წა (წმიდათა?) ბრძენთა კრებული წმინდის გრიგოლის ლეთის მტყუველისა თავებობითა და მინდობითა და შუა მდგომლობითა ყოველთა ქრისტიანთა მოაგვერის მადლი და ნათელი უფლისა და განგაზორეს ურჯულდება და გიქდაგეს სახარება ოთხთა თავთა მახარობელთა მათე მარკოზ ლუკა და იოანე მახარებელის თავებობითა მინდობითა და შუა მდგომლობითა სხვათა წმინდათა მოწამეთა დიდთა შვიდ წილ უძლეველის (უქლეველის?) სამას სამოცდა ხუთთა სასწაულ მოქმედის ჰხენ ახოვანის დიდის მოწამის გიორგისა თავებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა სხვაე წმინდათა დიდთა მოციქულთა წინასწარმეტყველთა მამათა მეუღლებეთა მესადართა ქალწულ მოწამეთა და სხვანი რანიე წმინდასა დიდსა საუფლოსა სენიაქარშიდ სწერან და მოისენებინ მათითა ყოველთა წმინდანის თავებობითა მინდობითა და შუა მდგომლობითა ესე უთუთო უთუმყო მიზნე შამოუღებელი დრო შამოუღებელი ყოვლის ჩხუბისაგან და ილიათისაგან გამოსული წყალობისა საფიცარი წიგნი ფარვან გუჯარი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მღვთის მიერ კურთხევით აღმატებულმან ძრიელმან და მღვთით არუისგან ძლეურმან მღვთის ზეცით გვრგვინოსანმა მეფეთ მეფემ პატრონმა სოლომონ და თანამეცხერმან ჩვენმან დღეოვალმა შაურაშიძის ასულმა ბატონმა თინათინ თქვენ აბაშიძის ზაალს და თქვენს

*) იხ. „მწყემსი“-ს კ. 22 (1892 წ.).



ძმისწულებს ზურაბს და ეახუშტის და თქვენს ძესა და მომავალსა ასე და ამა პირსა ზედან რომე თქვენის სახლის კაცისაგან თქვენც ბევრი უსამართლობა გვირდოდა და ჩვენც ორგულად შეგვეჭრა და ვადღე-ვადლო და ცათა სწორამა ხელმწიფემ წყალობა გეცა ბედნიერი ვეზირის ბძანებით და გარიგებით ბედნიერმა ვეზირმა აჯიფაშამ თავისი ქჷნა(?) ჯარით გვიზოდა და მტერის ციხე და მამული დგავაპირინა და თქვენ მოხედით და შამოგვეხეწეთ და გავგირიგდით და ჩვენ ეს იმედის საფიცარი წიგნი ვიბოძეთ თუ დღეის იქით თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ არც წახდენით არც დაჩაგვრით და ვალარიგებით სიკეთისა და წყალობისა მეტი საზიანო და საფიქრებელი საქმე თქვენ ჩვენგან აღზარაფელი გქონდესთ ამისად ვასათავებლად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი ძვეჯანისანი ხორციელნი და უზარცონი აწ ვინცა ვინ ჩვენგან მოცემულს საფიცარს შლად ხელყოას კვირას შეგიშალოს კვირაცხოველი თავად აღდგომა იესო ქრისტე რისხავს ამიერ და იმიერ სოფელსა ორშაბათს შეგიშალოს მთავარ ანგელოზი მიქელ და გაბრიელ და სხეაც ზეცის ძალნი ანგელოზი რისხავს სულთა და ხორცთა წინაშე ღმერთისა სამშაბათს შეგიშალოს მასამც რისხავს ყოველთა იმედათ(?) ნაშობნარ წინასწარამეტყველი წინა მორბედი იოანე ნათლის მცემელი და ყოველი წინასწარამეტყველი სულთა და ხორცთა წინაშე ღმერთისა ოთხშაბათს ვინც შეგიშალოს მასამც რისხავს თავად ყოვლად წმიდა ღმერთის მშობელი და მისხანს განხორციელებული იესო ქრისტე სულთა და ხორცთა თუ ხუთშაბათს შეგიშალოს ვინმე მასამც რისხავს ათორმეტი მოციქულნი და სხვანიც ჩანიც მოციქულნი არიან ყველანი რისხავს სულთა და ხორცთა წინაშე ღმერთისა. თუ პარასკევს შეგიშალოს ვინმე თავით მას რისხავს ჯვარცმა იესო ქრისტესი და ზისი ჯვარი ცხოველის მყოფელი ძელი ქეშარიტის სულთა და ხორცთა თუ შაბათს შეგიშალოს ვინმე მასამც რისხავს იოანე ქალწულ მახარობელი და ყოველნი წმინდანი რისხავს სულთა და ხორცთა წინაშე ღმერთისა ამის შემწლელს ღმერთო მიეცი ძრწოლვა კენისა, შიშოთილიება იუღისა დანთქმა დათან და აბორანისი და ამ საფიცროს დამტკიცებელი დაამტკიცებელი დაამტკიცოს სამებით ღმერთსა და მისმა წმინდათა უმიწოდ მათის მშობელმა ასე

კეთილად დაამტკიცოს ვითარცა აბრაამ ისაჲ და იაკობ სულთა და ხორცთა ისე გააძრიელოს კაცთაგან ამისი მოწამე და გამრიგე ერისთავი გიორგი სახთხუცესი ჯაფარიძე როსტომ მაკუეარიაი ქიხოსრო იაშვილი ვახტანგ წერეთელი სვიმონ აგაშვილი ქიხოსრო, დეიწურა ხემწიფის ბძანებით მიღეანის ჩვენის დათუნს ხელით ქს შმა.

ბეჭდლი. მონა დვთისა ემა ხონთქრისა მეფე სოლომონ.

მ. კალა—ქ

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისა იმპერატორებითა უდიდებულესობის ხელმეფე იმპერატორის ალექსანდრე III უმაღლესი ბრძანება, რათა დღეიდან ყოველ წლოებით გადიღებულ იქჷნეს ხაზინიდან 250,000 მანეთი სამღვდლოების შესანახავად, ელვასავით მოეღო ჩვენს სამღვდლოებას. ესლა მრავალი სამღვდლო პირი გვეკითხება, თუ რამდენი შეგნებდათ თითოეულ წლედელს ამ უმაღლესად ბოძებული ფულისაგან? აი რას უბასუხებთ ამ პირთ: ამ ახლად დანიშნული ფულეზიდან ჩვენს საქართველოს სამღვდლოებას არაფერი არ ერგება. ამ ფულეზიდან იმ გვარივე შემწეობა, როგორც ჩვენს სამღვდლოებას ძიღევა ხაზინიდან, უნდა დენიშნოს რუსეთის შინაგან ეპარქიების სამღვდლოებას, რომელიც ამავე ნომერში დაეძკილი უწმიდესი სინოდის უქაზის სიტყვით, მოკლებული იყო დღემდე ამითანა შემწეობას. თუ რიგინად ითხოვეს, იმეღია, რომ ამ ფულეზიდან შემწეობა დენიშნოს ჩვენში მართო იმ კრებულთ, რომელნიც უჯამაგიროდ დარჩენ.

* *

ქუთაისის გუბერნიაში ბევრგან სამრევლოები ძლიერ ემღერებიან ეკლესიების სტაროხტებს, რომ მათ ყოლბი სანთელი მოაქვსთ ეკლესიებში სახმარებლად. უწმიდესი სინოდის უქაზით სასტიკად

ადკრძალულია ყალბი სანთლის ხზარება ტაძრებში და გვიცივრს, თუ რატომ უწოდებდას არ აქციევენ ამ მოვლენას, ვისიც ჯერ არს. მართალია, ყველა ეპარქიებში კი არ არის გამართული სანთლის ქარხნები, მაგრამ რა უშლის იმ ეპარქიის სამღვდელთაგანს და სტაროსტებს, სადაც წმინდა სანთლის ქარხნები არ იმეკნებოდა, რომ საეკლესიო წმინდა სანთელი იქ იყიდონ, სადაც ნამდვილს სანთელს ამზადებენ, და არა იმ მეღუქმეებიდამ, რომელნიც ყალბსა და ყოვლად საძაგელს სანთელს ჰყიდიან? ნუ თუ ეს პირნი ვერ ხედვენ, რომ ყალბი სანთლის ხზარებით ტაძრებში ფუჭდება ეკლესიის მხატვრობა და შესამოსლები?..

* *

კაეკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას ერთ თავის უკანასკნელ კრებაზე ქ. ქუთაისში აღუძრავს კითხვა, თუ რომელი წოდების ყმაწვილები უნდა იქმნენ მიღებულნი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. კრებას ოროდღე პირს ვარდა დაუდგენია: მიიღონ ამ სასწავლებელში მართო თავადაზნაურთა და გლეხთა შვილები და სასულიერო წოდებას უფრო ეთქვას, რადგან ეს სასწავლებელი ინახება უმთავრესად საერო და თავად აზნაურთ ბაქსივანე შეწირული ფულებითა. მაგრამ რათ დაეწყოდით ამ ბატონებს, რომ ბანკში მონაწილეობა აქვს ბევრ სასულიერო პირთა და საერო გარდასახლაც (ВЕРСКИЯ ПОВИНОСТИ) თავადაზნაურებზე და გლეხებზე ნაკლები არ ხდება დღეს ჩვენს სასულიერო წოდებასაც? მოსწავლეთა რიცხვში ერთი წილი თავადაზნაურთა შვილები უნდა იყოს და ორი წილი გლეხებისა.

* *

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ უმაღლესი მთავრობისაგან გადაწყვეტილი იყო ქუთაისის გუბერნიის ერთი ორ-კლასიანი და ორი ერთ-კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსება. ამ სკოლების შესანახავად საერო ფულებიდან (ИЗ ВЕРСКИХ СБОРОВЪ) ყოველ წლობით დაინიშნა 1800 მ. წელსაც ამდენივე ფული გამოასულა ამ სკოლების შესანახავად. დღეს უზადლეს მთავრობას სთხოვენ, რომ მოაშალო წლებისთვის ამ 1800 მანეთს დაუბატონ კიდევ 1200 მანეთი, რომ ამ ფუ-

ლებით საეკლესიო-სამრევლო სკოლები განხიან ბათუმის ოლქში. იმედია, რომ უმაღლესი მთავრობა ამ თხოვნას შეიწყნარებს.

* *

დავით აღმაშენებლის ძეგლის დასადგმელად და სამლოცველოს განსახებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსახზავლად ჩვენ მივიღეთ ასს-რონხმოც-და-თორმეტი მანეთი, შეკრებილი მღვდელ-მონაზონის ექსეკუციისაგან. ამ ფულებისა იყო ღრმდის 1720 მ. 52 კ. ამიანათ არის 1912 მ. 52 კ. ეს ფულები ინახება ქუთაისის სახელმწიფო შემნახველ კასში.

* *

თლვის ტაძრის მღვდლის ალექსანდრე ზედგინძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის ვაზეთის შემწევობით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენ თლვის ტაძრის განახლების კომიტეტმა შემდეგ პატივცემულ პირთ: ბ. ფისო სოლომონ მღვდლის ძეს დედებულოდის, რომელმაც შემოსწირა თლვის სობოროს სამი დაფარა, ოქრო მკვდით ნაკერი, ღირებული 30 მან.; მღვდლის გიორგი ნადირაძის ქერიეს ვედუქიას, რომელმაც შემოსწირა ქართული სანარება ახალი სტამბისა, ღირებული 20 მან. და გლეხის იაკობ ნადირაძის ძეულის ეფემიას, რომელმაც შემოსწირა ქართული გვირგვინები. იმედია, რომ ამ პატივცემულ პირთ სხვანიც მიბაძვენ და დაზარებას აღმოგვიჩვენენ, რომ ხსენებული ეკლესია შესაფერად განუაშენოთ.

* *

მღვდლის დავით ანთაძისაგან:
მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული «წყემისი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოლ აზნაურულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემდამო რწმუნებულ ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიას შემოსწირეს სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები; აი სია შემოსწირელობისა: აწ. ივანე ყიფიანმა ერთი ხელი რკული სამღვდლო შესამოსელი, ღირებული 32 მ., აზნაურმა ნესტარ ანთაძემ—დაფარები—10 მ., მ. ხიჯაკაძემ—მანდალი ღირებული 10 მ., ეფ. ხიჯაკაძემ—კბე, ღირებული 20 მ., ნიკ. ბელიაშვილმა—სტალი, ღირებული 12 მანეთად.



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

სამედიკო და სამეკლსიმო მისამსახურეთა სამსახურდამყოფ.

ძლიერ სამწუხარო არის, როცა ზოგიერთი სამედიკო და სამეკლსიმო მოსამსახურენი ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ შემოსილობას სამედიკო სამოსლით. არც ის არის სასაბოვნო, რომ ზოგი ნამეტან ყურადღებას აქცევენ დიდებულად და მშენიერად თავის შემოსვას. გარდამეტობა არაფერში არ ვარგა და მღვდლისათვის ხომ მისატყვეველი არ არის. ზოგიერთი სამედიკო პირი ოღარასა და ფილონს ჩაიკვამს, მაგრამ როგორ ადგია ეს სამოსელი ტანზედ, იმას კი აღარ ეძებს. ზოგს ფილონი გვერდზედ აქვს მოქცეული და გასწორებას არ დაეძებს, თუ შედავითნებ არ გაუსწორა. ზოგს ოღარი ძლიერ მოკლე და შეუფერებელი აქვს და არ ეძებს, რიგინი მოიპოვოს. სრულ შემოსვის დროს ზოგს სარტყელი ძლიერ დაბლა აქვს შემოკეცილი და ზოგს ძლიერ მაღლა. ყველა ეს ძლიერ აუშნობებს შემოსილ მღვდელს და მლოცველებში ბადებს ცულ გრძობას. ზოგს «ნაბედრენიკი» აქვს ჯილდოთ მიცემული, მაგრამ მისი ხმარება არ იცის; ნაცელად იმისა რომ «ნაბედრენიკი» გვერდზედ ჩამოკიდოს, წინ აქვს ოღარჩე ჩამოკიდებული და რითი ხელობა ენელობს ამ შემთხვევაში, არ ვიცით. ამისთანა უკოდინარობას ხშირად ღიდ საკრებულო ტაძრებშიაც შენიშნაეთ, ძლიერ გვიკვირს, რომ ერთჯერ მაინც როგორ არ შეხედეს ამ პირებმა შემოსილ დახატულ მღვდლებს, თუ როგორ აქვსთ დაკიდებული ან «ნაბედრენიკი» და ან როგორ აცვია სამოსელი? «ნაბედრენიკის» ურიგოდ ხმარების შესახებ წერის დროს უნებლიეთ გვეგონებდა ზოგიერთი აკრძამვაში ნასწავლი მღვდელნი. იმათ, მოკვსენებათ ყველას, იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოებამ შეიტყოს აკადემიაში მათი სწავლის დამთავრება, მისცეს ნება, თუნუქის, მეტლის ჯერები დაიკიდონ ანაფორის შესაბნევ ღილზედ მოკლე ჯაჭვით. ეს პატარა თეთრი ჯერები ხალხის

შესახედავათ აქვსთ მიცემული მათ, თორემ სასტიკად აკრძალული აქვსთ წირვა-ლოცვის დროს მისი ხმარება. ყველამ იცის, რომ გიმნაზიებში ხშირად ოკრასა და ეცესლის მღვდლებს იღებენ სწავლის კარგად დამთავრებისათვის როგორც ვაჟები, ისე ქალები, მაგრამ არაფის არა აქვს უფლება ეს მღვდლები მეგრდზედ დაიკიდოს. მაგრამ ზოგიერთი აკადემიელები ამ ბრძანებას არ ასრულებენ. ისინი ფილონივად ვაღაოკიდებენ ამ ჯერებს, თუქვა აღრძალული აქვსთ, რომ მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს არ იხმარონ იგი. შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს; თუ ანუ მოსწონთ, დაე დაიკიდონო. მართალია, ამ ჯერის, ანუ «ნაბედრენიკის» უდავლო აღკიდოს ხმარებით და დაკიდებით ქვეყანა კი არ დაიქცევა, მაგრამ ეკლესიაში ყველა მოსამსახურე ეკლესიის ტიტიკონს უნდა ასრულებდეს და არა თავის პირად სურვილის ასრულებას მისდევდეს...

— ძლიერ ცული შესახედავია მაღალი მღვდელი მოკლე შესამოსელში და დაბალი — გრძელ შესამოსელში. ამისთვის ყოველთვის უნდა ცდილობდნენ, რომ შესამოსელი შესაფერი იყოს და ზომიერი მოსამსახურე მღვდლისა.

— მღვდელი და მთავარი-ღაცანი ეკლესიულნი არიან, რომ თავიანთ ჩაცმასაც ღიდი ყურადღება მიაქციონ. რიგინაღ ჩაცმა-დახურვას მაინც და მაინც იღიდი ხარჯი არ უნდა. ბევრი ძვირფას ანაფორას ცივამს, მაგრამ მაინც არ ითქმის, რომ კარგად იყოს ჩაცმული. ერთი ტანთსაცმელი რომ ძვირფასი იყოს და მეორე დახეული, არც ეს ვარგა. ანაფორა არ უნდა იყოს წითელი, ან თეთრი და ყვითელი, როგორც ზოგიერთებს უყვარს. ყველაზედ უმჯობესი ფერი ანაფორასში არის შავი, მიხაკის, დარიჩინის, მავლის, ცის და წყლისფერი; ეგონება, ყველა დარწმუნებულია, რომ პატრიისცმას თავიანთ სამწყსო-თავან კარგად და ძვირფასი ანაფორით კი არ დაიმსახურებს, როგორც ამას ამტკიცებდა ერთი ახლად ნაყურთხი მღვდელი ამასწინეთ, არამედ თავისი პატრიისნებთ, ჭკუით და კეთილი ცხოვრებით.

თუქვა საზღველოებს ყოველთვის ცხებადბა ხოლმე სა-უღიერო მთავრობის უქაზებში და განკარგულდებანი სხვა-დასხვა სხადლა უწუწათა და ფულთა თაღის დროზე წარდგინების შესახებ, მაქამ ბეჭეს აეწყდება გამწკნადებული ვადა. ამისათვის მრავალთა სამედიკო პოთა თხოვნით ჩვენ შევადგინეთ ტაბელი, მიჩვენებლი დროსა, თუ როდის და რა უნდა წარადგინონ მღვდლებმა ადგილობით ბლაღოჩინებთან. ეს ტაბელი ამავე ნომერში იბეჭდება და ცალკე დაბეჭდილც შექუქნათ მიიღონ მსურველებმა ჩვენ რედაქციაში.

ბ ბ ბ მ ლ ი

მსჩვენებელი დროისა, თუ როდეს უნდა წარადგინონ კრებულთა საეკლესიო სა-
ბუთები, კლიროვის უწყებანი, ეკლესიებში ლანგარზედ შემოსული ფულეები სხვა-და-სხვა
საქველ-მოქმედო სასოგადოებათა სასარგებლოდ და საზოგადოდ მრევლის მდევლის მო-
ვალეობის აღსრულებისსა სამსახურისამებრ.

ო რ ს ი ა ნ ვ ა რ ს

უნდა წარადგინონ კრებულთა სამხედრო სამსახურში გასაწვევი კაცების მეტრიკის აღმოწერილობანი
იმ ფორმით, როგორც ჰქონდა სამღვდლოებას გამოცხადებული «მწყემსისა» ჟურნალით.

ო თ ხ ს ი ა ნ ვ ა რ ს

უნდა წარმოადგინდეს ყველა კრებულთაგან კლიროვის უწყებანი, შედგენილი კანონიერად და
ხელმოწერილი რიგისამებრ კრებულის ყველა წევრთაგან, სამი ცალი კლიროვის უწყება, უნდა იყოს
შედგენილი უკანასკნელად გამოცხადებული სინოდის კანტარის განჩინებისა მებრ.

მართლმადიდებელ (თეგდორობის) კვირიაკეს

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებლად შეწირულებათა მისიონერის საზოგადოე-
ბის სასარგებლოდ. მღვდელმა უნდა ჩააგონოს მლოცველებს დიდი მნიშვნელობა იმ საზოგადოებისა,
რომელიც ამ საქმეს ტვირთულობს. ამ დღეს შეკრებილი ფული მეორე დღეს კრებულმა რაპორტით, ანუ
წერილით უნდა წარადგინოს ადგილობრით ბლაღოჩინთან.

ბ ს ო ბ ი ს კ ვ ი რ ა ს

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებლად შეწირულებათა ზღაპსტინის მართლ-
მადიდებელი საზოგადოების სასარგებლოდ და მეორე დღესვე უნდა წარუდგინოს ადგილობრით ბლაღო-
ჩინს წერილით, ან განცხადებით. ლანგარი უნდა იქნეს ჩამოტარებული ღამისთევით ცისკარზე და წირ-
ვაზედ. მეთედი ნაწილი შემოწირულებათაგან ადგილობრით კრებულს შეუძლია მოიხმაროს ადგილობრით
სამზრუნველოს სასარგებლოდ, ანუ სამრელო სკოლისათვის.

ბ რ მ ი ს კ ვ ი რ ი ა კ ე ს

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ფულის შესაკრებად ლანგარი ბრძათა სასარგებლოდ და თეი-
თონაც უნდა ჩააგონოს ხალხს თუ რამდენად საჭიროა დახმარება ბრძათათვის ბედის შესამსუბუქებლად-
ფულეები რაც შეიკრიბება განცხადებით უნდა გავგზავნოს მეორე დღესვე ადგილობრით ბლაღოჩინს
წარსადგენლად, სადაც ჯერ არს.

მ ა ი ს ი ს ზ ი რ ვ ე ლ ს

უნდა წარმოადგინდეს კრებულთაგან მეტრიკების, აღსარებითი სიების და კლიროვის უწყებათათვის
ფურცლების გამოსაწერად ფულეები სამ-სამი კაპეიკი თითო ფურცლისათვის მომავალი წლისათვის და
მასთან უწყება, თუ რამდენი ფურცელია საჭირო. თითოეული ზემოხსენებულის რვეულებისა.



სული წმინდის გარდმოსვლის კვირას

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებელად კეთილ-მნებებელთა შეწირულებათა სამრევლო სკოლის სასარგებლოდ და წარადგინოს მეორე დღესვე ადგილობრით ბლაღოჩინთან მისაქცევენელად დანიშნულებისა მებრ.

შ ე ნ ა შ ე ნ ა. ეკლესიის შესავალ-გასავლის წიგნებს გარდა უნდა იყოს კიდევ ერთი საზოგადო შესავალ-გასავლის წიგნი, რომელშიც უნდა იწერებოდეს ყველა ფულუბი სხვა-და-სხვა უღლებებიდან და ღონგარიდამ შემოსულნი, რომელთაც სხვა-და-სხვა დანიშნულება და მიზაროლება ჰქვს. ეს ფულუბი თითოეული ცალკე უნდა ჩაიწეროს წიგნი და ხელს აწერდნ მღვდელსა და სტაროსტას გარდა ორი-სამი პირი კიდევ მრევლოთაგანი.

ა თ ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ს

უნდა წარადგინოს კრებულმა შედგენილი რივისამებრ აღსარებითი სიები ნამდვილი და პირს ხელმოწერილი კრებულის ყველა წევრისაგან.

ნ ი რ ვ ე ლ დ ე კ ე მ ბ ე რ ს

უნდა წარადგინოს ადგილობრით ბლაღოჩინთან კრებულმა და სტაროსტამ ფულუბი საველდებულო სასულიერო ყურნალთა გამოასწერად.

ოც-და-თერთმეტ დეკემბერს

უნდა წარადგინონ ეკლესიის კრებულთა: 1) ჯეროვანად შედგენილი და ხელმოწერილი მეტრიკების რეგულები ნამდვილი და პირი.

2) ანგარიში შესავალ-გასავლის წიგნისა მთელი წლისა, რომლიდანაც უნდა სჩანდეს რა მდენი ფული იყო გადარჩენილი წინა წლიდან, რა მდენი და რისგან სახელობ შემოვიდა, რამდენი და რაზედ სახელობ დიხარჯა და რა დარჩა მომავალი წლის პირველი იანვრისათვის, ანგარიში უნდა იყოს შედგენილი სინოდისაგან გამოცემული ფორმისა მებრ და ეთანხმებოდეს წიგნის ანგარიშს.

3) ამავე დროს სტაროსტებმა უნდა წარადგინონ შესავალ-გასავლის წიგნები შესამოწმებლად: ეთანხმებთან თუ არა იგინი წარმოდგენილ ანგარიშს?

4) ამავე დროს უნდა წარადგინონ კრებულთა ადგილობრით ბლაღოჩინთან ეკლესიაში დადგმულ კრუშკებიდან ამოღებული ფულუბი: 1) მართლმადიდებელი ქრისტიანთაგან ადმინისტრაციის საზოგადოებისა კაცია-სიაში, 2) სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სასარგებლოდ, 3) მისიონერის საზოგადოების სასარგებლოდ, 4) პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ და 5) სამხრეთ სკოლების სასარგებლოდ და სხვათა.

5) 31 დეკემბრისავე უნდა წარადგინონ კრებულთა 5 % ეკლესიის შეწირულებათაგან სასარგებლოდ სამრევლო სკოლებისა და 1% სასულიერო წოდების პირთა საექიმოდ საავთმყოფოებში იმ ყულბისაგან, რომელიც დადგმულია ეკლესიებში შეწირულებათა შესაკრებად ეკლესიის გასამშენებლად.

6) ამავე დროს უნდა წარადგინონ დაწესებული იმერეთის ეპარქიის საქალებო სკოლის შესანახავად ფულუბი ეკლესიიდან და თავიანთ საკუთრებიდან.

შ ი ნ ბ ა რ ს ი: ოფიციალურა განყოფილება: 1861 წლამდე არსებული წესის აღდგინვა ხაზინიდან გელ-ნელა ფულუბის დანიშნენი^ა სამღვდლოების შესანახავად.

სადატენტურა განყოფილება: ნიდაგი მუკაობა არის დამავგრგვინებელი ყოველი დაწესებული საქმისა.— მცირე პედაგოგიური შენიშვნა.— წერილი რედაქციის მიმართ.— სისტორიო მასალა.— ახალი ამბები და შენიშვნები.— სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა საქუადღებოდ.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. ღ. ლაბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаись, 14 Апрель 1893 г.*
Типография редакци (П. Д. Гамбалидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.